# უცნაური ბაყაყები



ბუნებაში ბევრი საოცარი რამ არსებობს. შენი აზრით, ბაყაყების რა უცნაურობაზე იქნება საუბარი ტექსტში?

**ალბათ**, არაერთი ბაყაყი გინახავს **გუბის** პირას. ამიტომ მისი ცნობა შენთვის რთული არ იქნება. მაგრამ, ვფიქრობ, მფრინავი ბაყაყის ნახვა ძალიან გაგაოცებს. ის ინდოეთში ბინადრობს. ცხოვრობს ხეზე. ძირს იშვიათად ჩამოდის. ესეც მაშინ ხდება, როცა მეწყვილეს ეძებს. მას თითქმის 15 მ სიგრძეზე შეუძლია ფრენა. ასე იგი იოლად იცავს თავს მტრისგან. იცი, როგორ ახერხებს ამას? მფრინავ ბაყაყს თითებს შორის აქვს სქელი კანი. ფრენაში სწორედ ეს კანი ეხმარება.



არც ლაპლაპა ბაყაყი გეყოლება ნანახი. ისიც ინდოეთში ბინადრობს. მას აქვს ლაპლაპა, გაბერილი სხეული და მოკლე ფეხები. ლაპლაპა ბაყაყი მთელ ცხოვრებას მიწაში ატარებს. მოკლე ფეხები მიწის თხრაში ეხმარება. მიწიდან მხოლოდ ერთხელ ამოდის. ისიც ორი კვირით. ამ დროს იგი მეწყვილეს ეძებს.

ჩვენს პლანეტაზე უცნაური არსება სხვაც ბევრია. აი, თუნდაც, ერთი **ციცქნა** გამჭვირვალე ბაყაყი. მას ძალიან თხელი კანი აქვს. ამიტომ გარედან კარგად ჩანს, როგორ უცემს გული.

თუ მოგეწონა ეს თემა, მსგავსი ინფორმაცია შენც შეგიძლია მოიძიო წიგნებში.

რით განსხვავდებიან უცნაური ბაყაყები ჩვეულებრივი ბაყაყისგან?

# ტექსტის გაგება

**ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.**

**1 რა აქვთ საერთო მფრინავ და ლაპლაპა ბაყაყებს?**

ა) ორივე არის გამჭვირვალე.

ბ) ორივე ინდოეთში ბინადრობს.

გ) ორივე ხეზე ცხოვრობს.

**2 რით ჰგავს მფრინავი ბაყაყი ლაპლაპას?**

ა) მფრინავი ბაყაყი მეწყვილეს მიწაზე ეძებს.

ბ) მფრინავი ბაყაყი ფეხებით თხრის მიწას.

გ) მფრინავ ბაყაყს გაბერილი სხეული აქვს.

**3 ლაპლაპა ბაყაყი მფრინავისაგან განსხვავდება იმით, რომ:**

ა) ინდოეთში მხოლოდ ის ბინადრობს.

ბ) მიწაზე ძალიან იშვიათად ჩნდება.

გ) მიწას მოკლე თათებით თხრის.

**4 რომელი ინფორმაცია *არ შეესაბამება* ტექსტს?**

ა) გამჭვირვალე ბაყაყს ძალიან თხელი კანი აქვს.

ბ) ლაპლაპა ბაყაყი მიწიდან ძალიან ცოტა ხნით ამოდის.

გ) მფრინავ ბაყაყს არასდროს სჭირდება ხიდან ჩამოსვლა.

## ლექსიკა

**1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.**

1. **ალბათ,** ბევრჯერ გინახავს ბაყაყი.

   ა) რასაკვირველია. ბ) უეჭველია. გ) შესაძლოა.

2. ბაყაყი **გუბის** პირას მინახავს.

   ა) ტბის. ბ) ტბორის. გ) წყაროს.

3. გამჭვირვალე ბაყაყი **ერთი ციცქნაა.**

   ა) ძალიან იშვიათია. ბ) ძალიან პატარაა. გ) ძალიან უცნაურია.

**2 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები?**

ა) ადვილად – იოლად. ბ) იშვიათად – ხშირად. გ) ძალიან – მეტად.

**3 დააკავშირე ხაზებით მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები).**

| | |
|---|---|
| სქელი | ძნელი |
| რთული | მრავალი |
| ბევრი | მსხვილი |

## გრამატიკა

**1 დაწერე სწორი ფორმით ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა.**

1. მფრინავ ბაყაყს (*მტერი*) ------------------ არ ეშინია.

2. ბაყაყები (*გუბე*) ------------------ პირას არიან.

**2 დაასრულე სიტყვა.**

ლაპლაპა ბაყაყი იშვიათად ამოდის მიწი... .

**3 რომელია შეცდომა?**

ა) ალბათ. ბ) ზემოთ. გ) იშვიათათ.

## გრამატიკა

**4** **დაწერე ნიმუშის მიხედვით.**

*ნიმუში: შენ იცავ.* *მე ვიცავ.*

შენ ეძებ. მე -------------------- .

შენ ატარებ. მე -------------------- .

შენ გაოცდი. მე -------------------- .

## წერა

**1** **შეადარე მფრინავი და ლაპლაპა ბაყაყები. ჩაწერე ვენის დიაგრამაში მათი მახასიათებ-ლები.**

**მფრინავი ბაყაყი** **საერთო** **ლაპლაპა ბაყაყი**




**2** **გაიხსენე შენი საყვარელი ორი ცხოველი და ვენის დიაგრამის საშუალებით შეადარე ისინი ერთმანეთს. გააფორმე შენი ნაწერი ნახატით.**

